ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

1. ზოგადი დებულებები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემდგომში - ისგ) არის სასწავლო გეგმა, რომელშიც სტუდენტის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, აღწერილია ამავე სტუდენტის სწავლება-სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია სასწავლო კომპონენტების, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კრედიტების შესახებ.
2. ისგ-ში უცვლელია პროგრამის ძირითადი მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები.
3. სტუდენტისათვის ისგ-ის შედგენის საჭიროება შესაძლოა დადგეს სხვადასხვა საფუძვლების გამო (შიდა მობილობა/მობილობა, მსჯავრდებული სტუდენტის საჭიროებები, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა, სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნის გათვალისწინება, ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში და სხვა).
4. ისგ შესაძლებლობას უნდა აძლევდეს სტუდენტს, გაიაროს საგანმანათლებლო პროგრამა დაბრკოლების გარეშე.
5. ისგ-ს შემუშავებამდე ფორმდება სტუდენტთან შესაბამისი შეთანხმება, რომელსაც სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა

1. ისგ-ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს წერილობით.
2. ისგ-ს შემუშავება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის, სტუდენტის, პროგრამაში ჩართული პერსონალის და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მონაწილეობით (გარდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის).
3. ისგ-ს შემუშავება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების გათვალისწინებით.
4. მსჯავდებული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა და ისგ-ს შემუშავება ხდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 სექტემბრის №864-№100/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების წესის" შესაბამისად.
5. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.
6. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
7. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით

დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებისა და მიზნების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი სხვადასხვა დატვირთვით (სტუდენტის საკონტაქტო საათების მოცულობა).
9. ისგ შემუშავების შემდგომ გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც შესაბამისი სტანდარტების დაცვის დადასტურების შემდგომ ისგ-ს დასამტკიცებლად უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სტრუქტურა

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების კრიტერიუმები/ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები/მატერიალური რესურსი, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის საჭიროება და სხვ.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ზუსტი შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებსა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკაზე.
3. ფაკულტეტს უფლება აქვს შეიმუშაოს ისგ-ს შედგენის განსხვავებული მიდგომები საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისა და წინამდებარე მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.
4. ისგ შესაძლოა შედგეს და განხორციელდეს:
ა) საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული შშმ/სსსმ სტუდენტისთვის.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტი არის პირი, რომელიც სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე (უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად), ვერ ახერხებს სრულად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში.
2. საგანმანათლებლო პროგრამაში სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს სტუდენტის 1 საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვას მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების საფუძველზე.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ დატვირთვით ჩართული შშმ/სსსმ სტუდენტისთვის

1. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივ დატვირთვით ჩართული შშმ/სსსმ სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
2. შშმ/სსსმ სტუდენტისათვის ისგ-ს მიზანია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად, უწყვეტად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფა, სათანადო პირობების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვისა და სტუდენტური სერვისების მიღებისათვის, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაცია და ხელშეწყობა.
3. ფაკულტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას საჭირო პირობები შშმ/სსსმ პირის დროული იდენტიფიცირებისა და მათთვის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით;
ბ) სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართვისათვის, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შშმ/სსსმ პირი აუცილებელი ტექნოლოგიური, ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცება

1. ისგ-ს შემუშავების მეთოდოლოგიას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგენით.
2. ისგ-ს შემუშავების მეთოდოლოგიაში ცვლილებები ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე.